საქსტატი
www.geostat.ge

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
სტატისტიკური მონაცემები

2019/2020
სასწავლო წლის დასაწყისისთვის

02.12.2019

www.geostat.ge

02.12.2019

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სტატისტიკური მონაცემები

(2019/2020 სასწავლო წელი)

2019/2020 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოში სულ 2 313 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება (სკოლა) იყო, მათ შორის 2 086 საჯარო, ხოლო 227 კერძო. წინა სასწავლო წელთან შედარებით ქვეყანაში არსებული სკოლების რაოდენობა არ შეცვლილა. რეგიონების მიხედვით, ყველაზე მეტი სკოლა (17.0%) იმერეთში ფიქსირდება.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა 2015/2016-2019/2020 სასწავლო წლების დასაწყისისთვის.

დიაგრამა №1

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა

(ათასი)



2019/2020 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 592.9 ათასი მოსწავლე სწავლობს, რაც წინა სასწავლო წლის მაჩვენებელს 1.5%-ით აღემატება. საჯარო სკოლებში მოსწავლეთა საერთო რიცხოვნობის 89.4% სწავლობს, ხოლო კერძო სკოლებში - 10.6%. მოსწავლეთა საერთო რიცხოვნობიდან 47.9% გოგოა, ხოლო 52.1% - ბიჭი.

რეგიონებს შორის, ყველაზე მეტი მოსწავლე (34.7%) თბილისში სწავლობს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსწავლეთა რაოდენობა ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებებში 2015/2016-2019/2020 სასწავლო წლების დასაწყისისთვის.

დიაგრამა №2

მოსწავლეთა რაოდენობა
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში
(ათასი)



2018/2019 სასწავლო წლის განმავლობაში, სწავლა შეწყვიტა 12 049 მოსწავლემ, რაც 2.0%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე. იმ მოსწავლეთა შორის, რომელთაც შეწყვიტეს სწავლა, 40.7% გოგოა, ხოლო 59.3% - ბიჭი.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე, სქესის და კლასის მიხედვით, წარმოდგენილია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაც შეწყვიტეს სწავლა 2018/2019 სასწავლო წლის განმავლობაში.

დიაგრამა №3

მოსწავლეთა რაოდენობა, რომლებმაც შეწყვიტეს სწავლა, 2018/2019 სასწავლო წლის განმავლობაში

(კაცი)



2019/2020 სასწავლო წელს, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საგნებს (აღნიშნული საგნები სავალდებულოდ ისწავლება I, V და VI კლასებში) 151 186 მოსწავლე სწავლობს, რაც წინა სასწავლო წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 0.5%-ით მეტია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია მოსწავლეთა რაოდენობა ზოგად-საგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც სწავლობენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს 2019/2020 სასწავლო წელს.

დიაგრამა №4

მოსწავლეთა რაოდენობა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში, რომლებიც სწავლობენ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს 2019/2020 სასწ.წ.

(ათასი)



2019 წელს სკოლა დაასრულა 86 482 მოსწავლემ, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელს 5.1%-ით აღემატება. როგორც საბაზო, ასევე საშუალო განათლების კურსდამთავრებულთა შორის ბიჭები ჭარბობენ, რომელთა წილი, შესაბამისად, 52.4% და 51.3%-ს შეადგნს.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია იმ მოსწავლეთა რაოდენობა, რომელთაც მიიღეს საბაზო და საშუალო განათლება 2019 წელს.

დიაგრამა №5

საბაზო და საშუალო განათლების მიღების მაჩვენებლები

(ათასი)



2019/2020 სასწავლო წლის დასაწყისისთვის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებული იყო 63 780 პედაგოგი, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 5.3%-ით ნაკლებია. მასწავლებელთა დიდ უმრავლესობას ქალები შეადგენენ, კერძოდ, პედაგოგების რიცხოვნობაში ქალების წილი 86.8%, ხოლო კაცების წილი 13.2% -ია.

ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია პედაგოგების რაოდენობა 2015/2016-2019/2020 სასწავლო წლებში.

დიაგრამა №6

პედაგოგების რაოდენობა საჯარო და კერძო სკოლებში

(ათასი)



საკონტაქტო პირი:
ვასილ წაქაძე, ტელ: 2 36 72 10 (600), E-mail: vtsakadze@geostat.ge
მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge